



# ახალი ბანათლები

3 - 9 ნოემბერი  
ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№33 (747) ბაზრობის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

## საბანანათლებლო სტანდარტები ადრეულ ბანათლებაში



ბავშვის განვითარების ჰოლისტურ ხედვაზე აგებული დოკუმენტი რეალურად გვაძლავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რას უნდა მიაღწიოს ბავშვმა – რა უნდა იცოდეს და შეეძლოს. სტანდარტის სტრუქტურა, მარტივად რომ წარმოვიდგინოთ, დაყოფილია განვითარების ძირითად სფეროებად, რომლებიც იყოფა კატეგორიებად და ინდიკატორებად, თითოეულ სფეროს თავისი სტანდარტი აქვს. ინდიკატორები ის ქმედებებია, რომელიც რეალურად ვლინდება.

სტანდარტი ბანათლების სამინისტროს მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით შეიქმნა და ბუნებრივი გაგრძელება იყო იმ მნიშვნელოვანი პროცესის, რაც სკოლამდელი ბანათლების კანონის მიღებით იყო

განვირობებოდა.

პროგრამის ხარისხის სტანდარტი არეგულირებს პროგრამის ხარისხს ნებისმიერი ტიპის დაწესებულებაში, რომელიც სკოლამდელ ბანათლებს უზრუნველყოფს – იქნება ეს საჯარო თუ კერძო ტიპის დაწესებულება. ეს მართლაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რადგან ქვეყნის მასშტაბით მოხდება ხარისხიანი ბანათლების შეთავაზება ყველა ტიპის საბავშვო ბაღისთვის.

სტანდარტი რევიზირებულია, მაგრამ ჯერ არ არის დამტკიცებული. როგორც ავტორებმა განაცხადეს, რადგან პოლუსკენ გადაინ, ამიტომაც თავს უფლება მისცეს, სტანდარტიდან რაღაც კომპონენტები გაეცნოთ საზოგადოებისთვის.

გვერდი 2

**ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!**  
**დაწყებითი კლასების პედაგოგებს!**

წიგნი მომზადდა დაწყებითი კლასების მასწავლებლების საჭიროების გათვალისწინებით. ის მოიცავს:

1. საგნობრივ, თეორიულ მასალას
2. ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს

**დაწყებითი კლასების მასწავლებლებს დაეხმარება საგნობრივი გამოცდისთვის მომზადებაში**

ენობრივი დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის

ქართული  
მათემატიკა  
ბუნება

2016

14 ლარი

ნიგნის თარო

სკოლამდელი აღზრდა  
**ჩვენმა პატარებმა  
საერთაშორისო  
სტანდარტების მომსახურებით  
უნდა ისარგებლონ**

გვერდი 4

კონსერვანსია  
**სკოლა, რომელიც მხარს უჭერს  
დემოკრატიას**

გვერდი 6











ინფორმაცია

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა სახელმძღვანელოების შესახებ

ახალი სახელმძღვანელოების კრიტიკის მიხედვით... დარწმუნებული ვარ, რომ პროგრესი ამ მიმართულებით აუცილებლად გვექნება...

თვითონ უნდა გადამწყვიტონ, ამ მიმართულებით რა გააკეთონ. ახალი გრიფების პროცესი (ახალი სახელმძღვანელოების შერჩევის პროცესი) გულისხმობს...

იყო თუ არა ნარმატიული ნიშნების პროგრამა?

ჩემი აზრით, ეს პროგრამა უდავოდ ნარმატიულია, იმიტომ რომ, ჩვენ დროში კომპიუტერული უნარები განუყრელი ნაწილია არა მარტო განათლების, არამედ ზოგადად ცხოვრების და ჩვენ ვიცით, რომ ძალიან ბევრ ოჯახში ის კომპიუტერი (ნეტუქი), რომელიც მოსწავლეს გადაეცა...



მოსწავლეების ოჯახებისთვის პოზიტიურია. მეორე მხრივ, ჩვენ არ გვაქვს საკმარისი კომპიუტერული სასწავლო მასალა. ელექტრონული წიგნები, კომპიუტერული თამაშები, სხვადასხვა შემეცნებითი რესურსები უნდა იყოს მეტი, მაშინ უფრო მეტადაც მოხდება ამ რესურსის გამოყენება...

პროექტორის ნარბენა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, 31 ოქტომბერს, აკადემიურ საბჭოს ახალი პროექტორის კანდიდატურა წარუდგინა - მიხეილ ჩხენკელი, მისი დანიშნვის შესახებ ბრძანება კი 1 ნოემბერს გასცა. პროფესორ მიხეილ ჩხენკელს დამთავრებული აქვს თსუ-ს მათემატიკის ფაკულტეტი, წლების განმავლობაში მუშაობდა აშშ-ში, პენსილვანიის უნივერსიტეტში, სადაც სამაგისტრო და სადოქტორო ხარისხი დაიცვა მათემატიკაში...

აირჩიეს, ის დაპირდა სტუდენტებს, რომ მისი დანიშნვით სამ თვეში მზად იქნებოდა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის მოსამზადებელ სამუშაოებში სტუდენტებიც ჩაერთვებოდნენ. რექტორის განცხადებით, გეგმის სამუშაო ვერსია (დრაფტი) უკვე მზად არის და აიტვირთება საჯარო განხილვისთვის. ამგვარად, ყველა უნივერსიტეტულ შექმნა, თავისი წვლილი შეიტანოს უნივერსიტეტის განვითარებაში, მისი ხედვის ჩამოყალიბებაში. მისივე თქმით, თსუ-ს სტრატეგიული განვითარების (2017-2021 წლები) გეგმა, საჯარო განხილვის შემდეგ, დაახლოებით 3 თვეში, დამტკიცდება: „სტრატეგიაში ძირითადი მიმართულება იქნება, როგორც უნდა გახდეს თსუ ევროპული დონის უნივერსიტეტი, რაც შემდეგ საკითხებს მოიცავს: რა ეტაპები უნდა გავიაროთ - მმართველობის შეცვლა, მეცნიერების დაბრუნება სწავლებაში, სტუდენტური ცხოვრებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება; როგორც გახდეს სტუდენტური ჩართულობა უკეთესი; სწავლისა და კვლევის პირობები; როგორ ჩავართოთ ყველა სტუდენტი სამეცნიერო კვლევაში, რაც აუცილებელია თანამედროვე უნივერსიტეტისთვის.“

შესახებაც ისაუბრა: „სტუდენტებს აუცილებლად უნდა ჰყავდეთ წარმომადგენლობა, როგორც ნებისმიერ თანამედროვე უნივერსიტეტში. რა სახელითა და რა სახით იქნება - თვითმმართველობა, სტუდენტური საბჭო თუ ეს იქნება ნებისმიერი კლუბი - სტუდენტების გადასწავლელია. პრივილეგირებული ჯგუფები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღარ იქნება.“ თსუ-ში ახალ თვითმმართველობას 2016 წლის 25 ნოემბერს აირჩივენ. რექტორის თქმით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას აქვს სურვილი, რომ არჩევნები მაქსიმალური გამჭვირვალობით ჩატარდეს. „მივმართავთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციასა და დამკვირვებლებს, მაქსიმალური ყურადღება გამოვიჩინოთ და შევძლოთ, რომ არჩევნები ყველა სათანადო პრინციპის დაცვით ჩატარდეს. ყველა სტუდენტს უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლება და საშუალება იმისა, რომ მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, იქნეს არჩეული, მისცეს ხმა და ა.შ. ყველა ის სიკეთე, რომელიც საუნივერსიტეტო სივრცეში არსებობს, თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება ყველა სტუდენტისთვის.“

სკოლებს შორის თანამშრომლობა



ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოდის საჯარო სკოლას ახლო ურთიერთობა აქვს სკოლის კურსდამთავრებულებთან. მათი მონაწილეობით, შიშრად ეწყობა საგანმანათლებლო ღონისძიებები, ვინტერესდებით, როგორ და სად აგრძელებენ ისინი საქმიანობას...

ერთ-ერთი კურსდამთავრებული, ნიკა უთალიშვილი, რომელმაც ნარმატიული დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, სამი წელია, „ასწავლე საქართველოსთვის“ პროგრამის ფარგლებში, ნინოწმინდის №2 რუსულ-სომხურ სკოლაში მუშაობს ისტორიის მასწავლებლად. ნიკამ დიდი სიყვარული და ავტორიტეტი მოიპოვა არა მარტო იმ სკოლაში, სადაც ასწავლის, არამედ მთელ რაიონში. სწორედ მისი ძალისხმევით დამყარდა მეგობრული ურთიერთობა სოფელ ზოდის და ნინოწმინდის №2 საჯარო სკოლებს შორის.

21 ოქტომბერს ჩვენი სკოლა სტუმრად ეწვია ნინოწმინდის №2 საჯარო სკოლას. მეგობრულმა დახვედრამ მოლოდინს გადააჭარბა. მასპინძლებმა, სომეხმა მოსწავლეებმა, სამცხე-ჯავახეთის ისტორია ქართულ ენაზე წარმოადგინეს, შეასრულეს ქართული ნაციონალური ცეკვები და ქართულად წაიკითხეს ცნობილი ქართველი პოეტების ლექსები. ჩვენი მოსწავლეები მასპინძლების წინაშე ქართულ-სომხური ურთიერთობების შესახებ პრეზენტაციით წარდგნენ, წაიკითხეს საიათნოვას ლექსები, ისაუბრეს სერგო ფარაჯანოვის, ოვანეს თუმანიანის და ქართველი მწერლების მეგობრობის შესახებ. საჩუქრად გადაეცა „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი უნიკალური გამოცემა.

უახლოეს მომავალში მეგობარი სკოლის საპასუხო ვიზიტს ველოდებით. მსგავსი ურთიერთობები უთუოდ დაენარება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მოსწავლე ახალგაზრდობას ქართულ სახელმწიფოსთან სრულფასოვან ინტეგრაციაში.

ნონა ყაველაშვილი
ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოდის საჯარო სკოლის დირექტორი







მადიანობიერება

აქტივობა VIII (10წ) ჯგუფური მუშაობა: მასწავლებელი კლასს ყოფს 5 ჯგუფად. ჯგუფებს ურიგებს ვიკიპედიიდან ამოხედილი ინფორმაციას „კონტინენტების რიცხვი“ – დანართი 7, სამუშაო ფურცლებს – დანართი 8 და ფერადი ქაღალდის ზოლებს – დანართი 9. ჯგუფის ლიდერები კენჭისყრის პრინციპით ირჩევენ თითო ბარათს, რომელზეც ჯგუფის დავალება აღწერილი და ინყებენ მუშაობას.

I ჯგუფი: კონტურულ რუკაზე კონტინენტები სხვადასხვა ფერის ფლომასტერებით გააფერადეთ ისე, როგორც სახელმძღვანელოს სტატიაშია გადმოცემული. ფერადი ფურცლის ზოლზე წარმოადგინეთ ინფორმაცია, თუ რა საფუძველს ეყარება კონტინენტების კლასიფიკაციის ეს მოდელი.

II ჯგუფი: კონტურულ რუკაზე კონტინენტები სხვადასხვა ფერის ფლომასტერებით გააფერადეთ ისე, როგორც მეცნიერის ინტერვიუსა და ვიკიპედიის ინფორმაციის პირველ მოსაზრებაშია გადმოცემული. ფერადი ფურცლის ზოლზე წარმოადგინეთ ინფორმაცია, თუ რა საფუძველს ეყარება კონტინენტების კლასიფიკაციის ეს მოდელი.

III ჯგუფი: კონტურულ რუკაზე კონტინენტები სხვადასხვა ფერის ფლომასტერებით, გააფერადეთ ისე, როგორც ვიკიპედიის ინფორმაციის მეორე მოსაზრებაშია გადმოცემული. ფერადი ფურცლის ზოლზე წარმოადგინეთ ინფორმაცია, თუ რა საფუძველს ეყარება კონტინენტების კლასიფიკაციის ეს მოდელი.

IV ჯგუფი: კონტურულ რუკაზე, კონტინენტები, სხვადასხვა ფერის ფლომასტერებით გააფერადეთ ისე, როგორც ვიკიპედიის ინფორმაციის მესამე მოსაზრებაშია გადმოცემული. ფერადი ფურცლის ზოლზე წარმოადგინეთ ინფორმაცია, თუ რა საფუძველს ეყარება კონტინენტების კლასიფიკაციის ეს მოდელი.

V ჯგუფი: კონტურულ რუკაზე კონტინენტები სხვადასხვა ფერის ფლომასტერებით გააფერადეთ ისე, როგორც ვიკიპედიის ინფორმაციის მეოთხე მოსაზრებაშია გადმოცემული. ფერადი ფურცლის ზოლზე წარმოადგინეთ ინფორმაცია, თუ რა საფუძველს ეყარება კონტინენტების კლასიფიკაციის ეს მოდელი.

აქტივობა IX (5წ) ჯგუფური მუშაობის პრეზენტაცია: ჯგუფები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს: გააფერადებულ კონტურულ რუკებს გამოფენენ თვალსაჩინო ადგილზე, ხოლო საჭირო ინფორმაციით შევსებულ ქაღალდის ფერად ზოლებს აკრავენ სქემაზე – „კლასიფიკაციის საფუძველი“ – მათთვის განკუთვნილ გრაფაში; მოსწავლეების ნამუშევრები მიიღებს ასეთ სახეს: დანართი 10. (მოსწავლეთა ნამუშევრები) http://mziaabuladze.blogspot.com/ დანართი 11. (სქემა – „კლასიფიკაციის საფუძველი“)

Table with 5 rows and 2 columns. Row 1: I ჯგუფი, სახელმძღვანელოს მიხედვით: 7 კონტინენტი კლასიფიკაციის საფუძველი: გეოგრაფიული საზღვრის უდიდესი ნაწილი ევროპასა და აზიას შორის გადის ხმელეთზე, მაგრამ ორ კონტინენტად არის წარმოდგენილი. Row 2: II ჯგუფი, ვიკიპედიიდან I მოსაზრება/მეცნიერის აზრით: 6 კონტინენტი კლასიფიკაციის საფუძველი: მსოფლიო ოკეანით მსოფლიო დაყოფილია 6 ნაწილად. Row 3: III ჯგუფი, ვიკიპედიიდან II მოსაზრება: 6 კონტინენტი კლასიფიკაციის საფუძველი: ეს მოდელი პოპულარულია ევროპაში, ლათინურ ამერიკაში, აღმოსავლეთ აზიაში. ამის გამოსატყობება ოლიმპიური მოძრაობის ემბლემა 5 რგოლის სახით (ბუნებრივია, ანტარქტიდის გამოკლებით). Row 4: IV ჯგუფი, ვიკიპედიიდან III მოსაზრება: 5 კონტინენტი კლასიფიკაციის საფუძველი: სამხრეთი და ჩრდილოეთი ამერიკა გაყოფილია პანამის არხით, რომელიც ხელოვნურადაა შექმნილი და არც ზღვას წარმოადგენს და არც ოკეანეს. Row 5: V ჯგუფი, ვიკიპედიიდან IV მოსაზრება: 4 კონტინენტი კლასიფიკაციის საფუძველი: ევრაზია და აფრიკა ერთმანეთისგან გამოყოფილია სუეცის არხით, რომელიც ხელოვნურადაა შექმნილი და არც ზღვას წარმოადგენს და არც ოკეანეს.

აქტივობა X (7წ) დისკუსია: ჯგუფური ნამუშევრების გაანალიზების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ნებას, დაჯგუფდნენ იმის მიხედვით, თუ რომელ მოსაზრებას უფრო მეტად იზიარებენ და ინყებენ დისკუსიას თემაზე – „კონტინენტების რიცხვი“. მოსწავლეები გამოთქვამენ აზრს, თუ გეოგრაფების რომელი მოსაზრება მიაჩნიათ ჭეშმარიტად და საკუთარ აზრს ამყარებენ არგუმენტებით. დისკუსიის მსვლელობის პროცესში მოსწავლეებს, პოზიციის შეცვლის შემთხვევაში, შეუძლიათ გადაჯგუფება.

აქტივობა XI (2წ) შეჯამება: მოსწავლეები ავსებენ „გასასვლელ ბარათებს“ და გაკვეთილის დამთავრების შემდეგ ტოვებენ მასწავლებლის მაგიდაზე. დანართი 12 (გასასვლელი ბარათები);

გასასვლელი ბარათი

გვარი, სახელი ..... შემაჯამებელი კითხვა: რა რჩევას მისცემდით სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს? .....

აქტივობა XII (1წ) საშინაო დავალება: სტატია „გლობუსი“; მოიძიონ ინფორმაცია და არგუმენტებით გაამყარონ საკუთარი პოზიცია კონტინენტების რაოდენობის შესახებ. შექმნან პოსტერი თანაკლასელებისთვის. შეფასება – განმავითარებელი

Table with 5 columns: №, კრიტერიუმები, დაბალი, საშუალო, მაღალი, რეკომენდაცია. Row 1: ტექსტის ნაკითხვა და გააზრება. Row 2: მედიამასალიდან ინფორმაციის ამოკრება. Row 3: ინფორმაციის გაანალიზება და ორგანიზება. Row 4: გრაფიკული მათემატიკის გამოყენება. Row 5: ჯგუფთან თანამშრომლობა.

გამოყენებული მულტიმედია რესურსები: http://www.ambioni.ge/dedamiwis-kontinentebi-natia-nozaze https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98 https://www.google.ge/search?q=%E1%83%9B%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%9E%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98&newwindow=1&espv=2&bih=1001&bih=437&source=lnms&tbn=isch&sa=X&ved=0ahUKEwj7nPW06anMAHWGbbOKHefDYQ\_AUIBibB#imgrc=qdhNYJx5ZNYdFM%3A

დამატებითი რესურსები: სახელმძღვანელო, კალამი, მარკერი, ფერადი ფლომასტერები, ნებო, მაგნიტური დაფა, მაგნიტები, პროექტორი.

ინკლუზიური განათლება

ერთკვირიანი სასწავლო ტური რეგიონის სპეციალური მასწავლებლებისთვის



მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა რეგიონში დასაქმებულ სპეციალური მასწავლებლებისთვის სასწავლო ტური ჩაატარა. ტურის მიზანი იყო რეგიონების საჯარო სკოლების ინკლუზიური განათლების სპეციალისტების ცოდნისა და პროფესიული უნარების გაუმჯობესება და ამ გზით, ინკლუზიური განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა.

პროექტში, სხვადასხვა რეგიონების საჯარო სკოლებში დასაქმებული ინკლუზიური განათლების 30-მდე სპეციალისტი ჩაერთო, რომლებმაც თბილისის 10 საჯარო სკოლაში, პროექტის ტუტორებად შერჩეულ ინკლუზიური განათლების მასწავლებლებთან პრაქტიკული კურსი გაიარეს.

უანა კვაჭაძე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინკლუზიური და სპეციალური განათლების კონსულტანტი: „ტურის მიზანია რეგიონებსა და თბილისში დასაქმებული სპეციალური მასწავლებლები შეეახვდნენ ერთმანეთს ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. დაახლოებით, 30 მასწავლებელი ჩამობრძანდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან და მათ პრაქტიკული მეცადინეობები თბილისის იმ სკოლებში გაიარეს, რომელთაც მეტ-ნაკლები გამოცდილება აქვთ ინკლუზიური სწავლების მიმართულებით“.

ერთკვირიანი ტურის ფარგლებში, პროექტის მონაწილეებს, თავდაპირველად, შესაძლებლობა ჰქონდათ, განეხილათ საკუთარ სკოლებში არსებული გამოწვევები და მიდგომები, ხოლო შემდგომ, გაცნობოდნენ


წარმატებულ ინკლუზიურ კლასებს, ინტეგრირებული კლასის სპეციფიკას და სპეციალურ სკოლას. სასწავლო ტური დასრულდა შემაჯამებელი შეხვედრით, რომელზეც მონაწილეებმა განიხილეს განვლილი მასალა და მიღებული გამოცდილება, გარდა ამისა, საკუთარი სკოლისთვის შეიმუშავეს ინკლუზიური გარემოს შექმნის გეგმა.

მონაწილე პედაგოგების აზრით, ძალიან მნიშვნელოვან სიახლეს გაეცნენ, უშუალოდ პრაქტიკული გაკვეთილების მაგალითზე და შეეცდებიან ეს ცოდნა და სიახლეები ჩაიტანონ და დანერგონ თავიანთ სკოლებში. ასევე, შეეცდებიან მიღებული ცოდნა რეგიონის მასწავლებლებზე გაავრცელონ და კოლეგებსაც გაუზიარონ ტურზე მიღებული გამოცდილება. პედაგოგები ამბობენ, რომ ტური ძალიან მნიშვნელოვანი იმითაც აღმოჩნდა, რომ უშუალოდ სპეციალურ და ინტეგრირებულ სკოლებში წარიმართა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი აქტიურად მუშაობს ინკლუზიური განათლების საკითხებზე და ამ მიმართულებით სპეციალისტების გადამზადებაზე. გარდა ზემოაღნიშნული სასწავლო ტურისა, ცენტრში პერიოდულად ტარდება ინკლუზიური განათლების სპეციალისტების ტრენინგები, ჟესტური ენის კურსები ყრუ პირების, მათი მასწავლებლებისთვის, ოჯახის წევრებისა და თარჯიმნებისათვის, ასევე ბრაილის შრიფტისა და მისი სწავლების მეთოდების ტრენინგები მხედველობის დარღვევის მქონე პირთა პედაგოგებისთვის.



სპორტი



### ბათუმელი სტუდენტის ბრინჯაო


ბათუმელმა არჩილ თურმანიძემ, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, მსოფლიოს საუნივერსიტეტო ჩემპიონატში, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ეს პირველობა უკვე მეთორმეტედ ჩატარდა და წლეულს მას თურქეთის ქალაქმა ჩორუმმა უმასპინძლა.

თურმანიძე 66 კილოგრამში გამოდგოდა და ჩორუმში მხოლოდ ერთი პაუკრობა დათმო - ნახევარფინალში ბელორუსთა მომავალ ვიცე-ჩემპიონ სოსლან დაუროვთან. პირველ შეხვედრაში ბათუმელმა ძალიან იოლად, ქულათა დიდი უპირატესობით, წმინდად გაანადგურა მოლოდინი მაქსიმ მამულატი - 9:0, უნგრელ ბენს ბალატონთან კი შედარებით გაუჭირდა და მინიმალური ანგარიშით - 1:0 მოუგო. ნახევარფინალში დაუროვთანაც ძნელი ბრძოლა გადახდა, თუმცა ამჯერად გამარჯვების სასწორი თავისკენ ვერ გადამოხარა, 2:4 დამარცხდა და ფინალშიც დაუროვი გავიდა, თურმანიძეს კი ნუგეშად ბრინჯაოს მედალი დარჩა.

დამამშვიდებლის ფინალში ქართველი ფალავნის მეტოქე იყო ფრანგი მამადასა სილი - 7:4, თუმცა თავიდან 4-ქულიანი დაკარგა და ჩამორჩა. ეტყობა, არ ელოდა მეტოქისგან ისე მალე ამგვარ შემოტევას და პირველივე წამებზე ძალიან იოლად შეუშვა ილეთზე, თითქოს ხელუბის შეკვრაც აცალა და ფრანგმაც უკუგდებით ეფექტური ილეთი გააკეთა. იქვე დაატრიალებასაც ცდილობდა, მაგრამ თურმანიძემ კარგად დაიცვა თავი. ამ ეპიზოდებიდან უკვე თვითონ აიღო ინიციატივა და გამორჩნდა, რომ ის უფრო მაღალი დონის სპორტსმენია. მან თანდათან გაზარდა ზენოლა და საბოლოოდ 7:4 მოუგო, რითაც ბრინჯაოს მედალსაც დაეფლავა.

ჩორუმში ბერძენ-რომაელთა ტურნირში კიდევ ორი ჩვენებური ჭიდაობა - ბათუმელი მირზა ვანაძე (59) და სენაკელი მურთაზ ჩაბრავა (75). ორივე უმედლოდ დარჩა, თუმცა ჩაბრავას ბრინჯაოს მედალამდე ერთი მოგება დააკლდა - დამამშვიდებლის ფინალში თურქ ფურკა ბაირაკთან დამარცხდა და მეხუთეზე დარჩა. ჩაბრავა მე-9 ადგილზე გავიდა.

ჩორუმში ჩვენებს თავისუფალ ჭიდაობაშიც უნდა ეასპარეზათ - დიმიტრი ბასილაშვილს (70) და თორნიკე ალადაშვილს (86), მაგრამ ტურნირში, საბოლოოდ, მათ მონაწილეობა არ მიუღიათ.



## ჭაბუკ ძიუდოისტთა ტურნირი

გორში მერვედ ჩატარდა ყოფილ საბჭოთა კავშირში ძიუდოში ევროპის პირველი ჩემპიონის, ანზორ ქიბრონაშვილის სსონის ტურნირი ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის. ეს ადგილობრივი მნიშვნელობის შეჯიბრება, უცხოელთა მონაწილეობის გარეშე, კარგ შანსს აძლევს ამ ასაკის მოზარდებს, გამოსცადონ საკუთარი შესაძლებლობები, თავი მოაწონონ ნაკრების მწვრთნელებს და დიდ სპორტში გაიკაფონ გზა.

ამჯერად შეჯიბრებაში თითქმის მთელი ქვეყნიდან გამოდიოდნენ გუნდები და პატარებმაც დაძაბული პაექრობები გააჩაღეს. ტურნირში ყველაზე მეტი წარმატებით თბილისის გუნდი გამოვიდა, რომელმაც სამი ოქრო მოიპოვა, თუმცა ურიგოდ არც გორელებს და ქუთაისელებს უასპარეზიათ - 2-2 ჩემპიონი გაუხდათ. თბილისელთაგან ოქროს მედლები გიორგი ჩეხაურმა (66), გიორგი შერაზადიშვილმა (73) და მიხეილ ბექაურმა (90) მოიპოვეს, გორელთაგან ანალოგიური წარმატება - გაგა ჭულუხაძემ (46) და დავით ბიშივილმა (60), ქუთაისელთაგან - გოჩა ღვანდიაშვილმა (81) და საბა ინანიშვილმა (+90). თითო ჩემპიონი გაუხდათ ქარელსა და მარნეულს, შესაბამისად - თორნიკე მარგველაშვილი (50) და ლუკა კაპანაძე (55). აღსანიშნავია, რომ 55 კილოგრამში მარნეულელთა ფინალი გაიმართა - კაპანაძემ ბექა ნიფიანს მოუგო. თბილისური ფინალი ვიხილეთ 73-შიც, სადაც შერაზადიშვილმა გიორგი ხუციშვილთან პაექრობაში იმარჯვა. საინტერესოა, რომ ორი მესამე ადგილიდან ერთზე ისევე თბილისელი ფალავანი გავიდა - ლაშა ბექაური.

## ნორჩი ძალოსანის წარმატება




დიდ წარმატებას მიაღწია ახალგაზრდა ქართველმა ძალოსანმა ირაკლი ჩხეიძემ - მალაიზიის ქალაქ პენანგში დასრულებულ 17-წლამდელ ჭაბუკთა შორის, 94 კილოგრამში, მსოფლიო ჩემპიონი გახდა. საამაყოა, რომ ნორჩმა ქართველმა ექვსივე ცდა წარმატებით გამოიყენა და დამაჯერებლად მოიგო პლანეტის პირველობა. მან 154 კილოგრამში აიტაცა, აკერაში კი, საბოლოოდ, 186-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა, რითაც ორჭიდაში 340კგ დაუგროვდა, რაც სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. როგორც ჭაბუკთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ზურაბ ანთაურმა აღნიშნა, ჩხეიძემ ზედმინევიტო ზუსტად შეასრულა ტექნიკური სქემა. აღსანიშნავია, რომ ის ევროპის წლევედელი ჩემპიონიცაა (ამ ასაკში) და მალაიზიაშიც ტურნირის ფავორიტი იყო.

მსოფლო ჩემპიონატზე კიდევ ერთი ჭაბუკი ქართველი გამოდიოდა - მძიმე წონაში, +94-ში, თორნიკე ტაბატაძე სწევდა შტანგას. ურიგოდ არც მას გამოსდიოდა ეს საქმე, მაგრამ ვერც ისე ყოჩაღად, მთლად კვარცხლბეკამდე რომ აენია და, საბოლოოდ, მეოთხე ადგილზე დარჩა.

## ბერიასვილის ტურნირის ფავორიტები

საქართველო მუდამ მიაგებდა პატივს ქვეყნის სახელოვან სპორტსმენებს. ამის დასტურია ის არაერთი შეჯიბრება, რომელიც ახლო თუ შორეული წარსულის გამოჩენილ ვეტერანთა სახელზე ტარდება. ერთ-ერთი ასეთი თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონ ზარიბეგ ბერიასვილის სახელობის შეჯიბრებაა, რომელსაც, 28-29 ოქტომბერს, 27-ედ უმასპინძლა გლდანში მდებარე ოლიმპიური რეზერვების ეროვნული სასწავლებლის დარბაზმა. როგორც ერთი კვირის წინ იმავე ცენტრში გამართული კიდევ ერთი მსოფლიოს ჩემპიონის, ოლონდ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, მიხეილ




სალაძის სახელობის შეჯიბრება, ესეც ჭაბუკთა შორის ჩატარდა (ცხადია, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის) და ესეც საერთაშორისო მასშტაბისა გახლდათ. თუმცა, იმ ტურნირის მსგავსად, ამის მასშტაბებიც შეზღუდული იყო - მხოლოდ სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდები ჩამოვიდნენ (ვლადიკავკაზიდანაც იყვნენ სტუმრები). სტუმართაგანაც ძლიერი გუნდით აზერბაიჯანელები გვესტუმრნენ, თორემ სომხეთიდან სულ 4 მოზარდი მონაწილეობდა.

სამაგიეროდ, მასპინძლები დახვდნენ უძლიერესი შემადგენლობით და, შეიძლება ითქვას, ბღღვირიც ადინეს - ყველა ოქრო ხომ მათ დაისაკუთრეს, ჩამოსულეებმა მხოლოდ ერთი ფინალი იჭიდავეს - 69 კილოგრამში ფინალში აზერბაიჯანელი ნასიბ ისაევი გავიდა, თუმცა მასაც ქუთაისელმა ბაგრატ გაგნიძემ მოუგო. ჩვენი გუნდის ასეთი ძლიერი შემადგენლობა მთავარი მწვრთნელის, გიორგი იანტელიძის კატეგორიული მოთხოვნა იყო, რადგან, ჯერ ერთი, ეს შეჯიბრება საგაისო სეზონისთვის გუნდის დასაკომპლექტებლად პირველი ნაბიჯი იყო, მეორეც - ამ ტურნირის გამარჯვებულები ისპარეზებენ უახლოეს შეჯიბრებებზე. იანტელიძემ გამონაკლისი მხოლოდ სექტემბერში თბილისში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის მედალოსნებისთვის დაუშვა, რომლებსაც დასვენების უფლება მისცა.

ძირითადად, ტურნირმა თავისი დანიშნულება გაამართლა და არაერთმა ჭაბუკმა ფალავანმა გამოიჩინა თავი. მწვრთნელებმაც ბევრი ახალი კადრი მოინიშნეს გეგმაში, თუმცა ჯერ ყველა მათგანმა უცხოურ შეჯიბრებებში უნდა დაამტკიცოს, რომ ახლანდელი წარმატება შემთხვევითი ამბავი არ ყოფილა და სტაბილურად ჭიდაობა ძალუძთ.



ბაგრატ გაგნიძის გარდა, წონითი კატეგორიების მიხედვით, ჩემპიონები გახდნენ: კიდევ ერთი ქუთაისელი გიორგი ჭოლაძე (42), ლანჩხუთელი გიორგი ხარატიშვილი (46), საგარეჯოელი ბაჩუკი ქვლიციანი (50), ხაშურელი გიგი ბლიაძე (54), ამბროლაურელი გიორგი ელბაქიძე (63), ხონელი გიორგი ჩარქსელიანი (76), კასპელი ედი ბულუღაშვილი (85), სამტრედიელი ელგუჯა ბალანჩივაძე (100) და მასპინძელი სასწავლებლის - ოლიმპიური რეზერვების შეგირდი ლუკა მარიამიძე (58).





მიმდინარეობს ხელმოწერა



წიგნი I  
საბავშვო გაეროსთვის



წიგნი II  
„ვეფხისტყაოსანი“



წიგნი III  
XX საუკუნის მწერლები



წიგნი IV  
XX საუკუნის მწერლები

თითო ტომის ფასი - 12 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „რა არის რა“



აინდლი



არქიტექტურა



კრიმინალისტიკა



ჯანსაღი კვება



მთავი



პირობა



ოლიმპიური თამაშები



მემორანდუმები




ჯიქია



ხალხთა ღიღი გაღასკლება



მხინვერები



მამული კვირები

თითო ტომის ფასი - 9 ლარი



ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით მათემატიკის მეთოდური მასალა და ტესტები. მასალაშია ჩვენს ქვეყნის მათემატიკის განვითარების უნიკალური მონაცემები. ეს მონაცემები სწავლას დასაწყისში, როგორც მათემატიკის განვითარების მეთოდური მასალა და ტესტები.

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კომისიის მათემატიკის კრებულში შესულია პროგრამით მათემატიკის მეთოდური მასალა და ტესტები. მასალაშია ჩვენს ქვეყნის მათემატიკის განვითარების უნიკალური მონაცემები. ეს მონაცემები სწავლას დასაწყისში, როგორც მათემატიკის განვითარების მეთოდური მასალა და ტესტები.

კრებულის ფასი - 9.90ლ



სერიის ფასი - 17.70ლ



ქართული ენის კრებულები

ერთი კომისიის მათემატიკის კრებულში შესულია პროგრამით მათემატიკის მეთოდური მასალა და ტესტები. მასალაშია ჩვენს ქვეყნის მათემატიკის განვითარების უნიკალური მონაცემები. ეს მონაცემები სწავლას დასაწყისში, როგორც მათემატიკის განვითარების მეთოდური მასალა და ტესტები.

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერიის ფასი - 30.40ლ



მასწავლებლის ბიბლიოთეკა



ინოვაციური გეგმები და მათემატიკის კრებულები

ინოვაციური გეგმები და მათემატიკის კრებულები

6.50 ლარი

მასწავლებლის საშუალო რვეული




მასწავლებლის საშუალო რვეული

- 1. საჭიროებისამებრ შეავსოს ბაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს ბაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს ბაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

კათედრის გაგების პორტფოლიო



კათედრის გაგების პორტფოლიო

6 ლარი

ინტერაქტიული მეთოდების კრებულები



კრებულში აღწერილია ინტერაქტიული მეთოდების მეთოდები; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპური აღწერა; განხილულია, რა უნდა იქნას მათემატიკის მეთოდები; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი



2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი

5.50 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორჩინებით რეკვიზიტებზე:

მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22 ფილიალში პირაბა, თანხის გადმორჩინებისას, მიუთითეთ პირადი ნომერი. შეკვეთის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

# სამეგრელოს ფეფოვლის მხარე

მარაო, რომელიც გამიჯნურებულ ესპანელ ჰერცოგს ეკატერინე ჭავჭავაძისთვის უჩუქებია, ხელოვნების სასახლის კუთვნილება გახდა. თუმცა, როგორც სასახლის დირექტორი გიორგი კალანდია აცხადებს, ამას წინ ხანგრძლივი მოლაპარაკებები უღძოდა: „საკმაოდ ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ შეთანხმებას მივალნიეთ და ეს ძვირფასი ნივთი, რომელიც, მასთან ერთად არსებული ხელნაწერი დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს ულამაზეს ასულს, წინანდლის ვარდს, სამეგრელოს დედოფალს ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანს ჰკუთვნებია, ხელოვნების სასახლის კუთვნილება გახდა. გადმოცემის მიხედვით, ეს მარაო დედოფლისათვის, პეტერბურგში, ერთ-ერთ გამიჯნურებულ ესპანელ ჰერცოგს უჩუქნია.

ჩვენი მარაო XVIII საუკუნის ბოლოს-XIX საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს დამზადებული. ის თვრამეტი ე.წ კბილანასაგან შედგება, რომელზეც ქალაქის ეკრანია გადაკრული, ეკრანი მთლიანად მოხა-



ტულია, წინა მხარეს შეყვარებული წყვილი ზის, რომელთაც თავზე კუპიდონები დასტრიალებენ. მეორე მხარეს კი ესპანურ სამოსში გამოწყობილი მამაკაცი (იქნებ ჰერცოგი?) ქალებს ემუსაიფება. ეკრანის მეორე მხარეს სხვა სცენა – აქ საგანგებოდ მოწყობილ ხის მოედანზე მაიმუნია დაბმული. მარაოს ეკრანი ორივე მხარეს დიდი ოსტატობითაა მოხატული. იგივე შეგვიძლია ვთქვათ გასაშლელ კბილანებზე. სადაფით შესრულებული ჯოხები მოჩუქურთმებულია ღრმა კვეთით და შემდეგ მოვერცხლილ-მოოქრულია. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული ნივთი თავიდანვე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადამიანისთვის მომზადდა და ის დაბადებისთანავე ბრწყინვალე ხელოვნების ნიმუში იყო!

ეკატერინე ჭავჭავაძის მარაო ერთ-ერთი კერძო პირისგან შეიძინეს და ვინმე ვლადიმერ მარლანის კუთვნილი ყოფილა, აცხადებს გიორგი კალანდია artinfo-სთან საბურისას.

„სამეგრელოში დაბრუნებულმა დედოფალმა ეს ძვირფასი ნივთი თან წაიღო. მისი სიკვდილის შემდეგ იგი სახლთუხუცესს ივანე ჩიქოვანის ქალისათ-



ვის უჩუქნია ბატონი შვილ დადიანს, შემდეგ კი ბებია-გან მემკვიდრეობით მიუღია მამაჩემს, ოქუმელ ჯეიჰუნ მარლანისას. ეს ამბავი სოხუმში ყოფნის დროს მოუყოლია მამაჩემს მწერალ სერგი ჭილაიასათვის, რომელიც იმხანად აფხაზეთში ისვენებდა და თავის ცნობილ რომანს „ეკატერინე ჭავჭავაძეს“ წერდა. ამბავი ბატონ სერგის იმდენად მოსწონებია, რომ რომანში შეუტანია ვინმე ესპანელი ელჩის დოსუნასა და დედოფალ ეკატერინეს სიყვარულის ამბავი. მაშინ მამასთვის სერგი ბატონს უთხოვია მარაო მუზეუმისთვის გადაეცა, მაგრამ მამამ არას ფულითა და თხოვნით იგი არ დასთმო.


მარაოზე ერთს მხარეს სიყვარულის ამბავია დახატული, მეორეზე კი ესპანელი კოლონიზატორების მიერ ათვისებული ამერიკის ცხოვრებიდან ერთი სცენა, იქ მაიმუნიც მოსჩანს, რომელიც ძალზე ეგზოტიკური ცხოველი იყო.

ვლადიმერ მარლანია 24 აგვისტო. 1978 წელი“.


ხელოვნების სასახლის დირექტორი ეკატერინეს მარაოს განსაკუთრებულ ნივთად მოიხსენიებს სასახლის კოლექციიდან და ამბობს: „ჩვენ ბევრი კარგი ნივთი გვაქვს, არაერთი საუკეთესო ნიმუში შევმატეთ ბოლო წლებში ჩვენს კოლექციას, თუმცა ამ შენაძენით განსაკუთრებით ვამაყობ!“




## გამოსცემლობა „დიობანა“



**თამაზ ვასაძე**  
ქართული აბიტირაციული პრეტა ლიტერატურის შემსწავლელთათვის  
**ფასი – 4 ლარი**



**თამაზ ვასაძე**  
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური განმარტებები  
**ფასი – 12 ლარი**



**ფიზიკა**  
საატმოსფერო გამოცდისთვის  
ქ. ტატიშვილი, ზ. ბარია  
**ფასი – 10 ლარი**



**ქართული ენის გრამატიკა**  
სინტაქსი  
სასკოლო კურსი  
გ. შარაშენიძე  
**ფასი – 7 ლარი**



**თამაზ ბარუაშვილი**  
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომოვლი)  
**ფასი – 10 ლარი**



**ბიოლოგია**  
ეროვნული გამოცდისთვის  
ლ. ბურღლიაძე, გ. სიხარულიძე, ქ. მალრაძე, დ. ნაზირიშვილი  
**I ნაწილი – 10 ლარი**  
**II ნაწილი – 10 ლარი**



მისამართი: 0102 თბილისი, ტაბულაშვილის ძ. №3  
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073  
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

ISSN 2233-386X



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735 ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ზ/კ BAGAGE22, რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

9 772233 386008 >